



Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

ძიება

გაფართოებული ძიება




მთავარი | სიახლეები | გამოცემები | კანონმდებლობა | ანგარიშები | HRDC-ს შესახებ | ბმულები | კონტაქტი

[Text Version](#)

ადმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიმართვა ევროკავშირის კომისარს

13.03.2012

ევროკავშირის კომისარს გაფართოების საკითხებში
ბატონ შტეფან ფულეს
Cc: დანიის პრემიერ-მინისტრ ქ-ნ ჰელე თორნიგ-შმიდტს
Cc: დანიის ევროპის საკითხთა მინისტრ ბ-ნ ნიკოლაი ვამენს



ბატონო კომისარო, ჩვენ ვაფასებთ ევროკავშირის მონდომებასა და განხორციელებულ ძალისხმევას საქართველოში მოახლოებული არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად და ვითვალისწინებთ ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს 2012 წლის 27 თებერვლის დასკვნას, რომელიც ხაზს უსვამს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებულ დემოკრატიულ სტანდარტებთან თანხვედრის უდიდეს მნიშვნელობას და „საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით დაკვირვების“ პირობას დებს.

გვსურს, გაგიზიაროთ ჩვენი შემოთავაზება საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი - „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში პარლამენტის მიერ 2011 წლის დეკემბერში მიღებული ცვლილებების თაობაზე.

2012 წლის თებერვალში, ფართო კონსულტაციების საფუძველზე, 200-ზე მეტმა სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტმა, არასამთავრობო და მედია-ორგანიზაციების წარმომადგენელმა, და ასევე 1500-მა მოქალაქემ ხელი მოაწერა პეტიციას, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობაში ახალი ცვლილებების განხორციელებას ითხოვს, ვინაიდან ბოლოდროინდელი რეგულაციები აუარესებს საარჩევნო გარემოს, ზღუდავს სამოქალაქო აქტივობას, საკუთრების უფლებას, გამოხატვისა და პოლიტიკური აქტივობის თავისუფლებას, და ამომრჩეველთა წინააღმდეგ მძიმე და გაუმართლებელი პასუხისმგებლობის დაკისრების საშუალებას იძლევა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ე.წ. „მსუსხავ ეფექტს“ სიტყვის თავისუფლებისა და სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით. აღნიშნულ მოსაზრებას ეხმარება მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის განცხადება (2012 წლის 13 თებერვალი) და, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზს უსვამს, რომ ახალი საარჩევნო კანონმდებლობა „რათანაბარ პოლიტიკურ სამოქმედო ველს“ ქმნის.

სამოქალაქო აქტორებისა და მედიის წარმომადგენელთა ინიციატივით დაიწყო კამპანია სახელწოდებით „ეს შენ გეხება“, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. კამპანია მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებამდე ხმის მიწვდენასა და მათი მხარდაჭერის მობილიზებას ისეთი თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შეესაბამება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის, საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმისა (ENP AP) და „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში.

მოახლოებული არჩევნების ფონზე, დემოკრატიული განვითარების ზემოაღნიშნული რისკების თავიდან ასაცილებლად და ამავედროულად, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ანგარიშვალდებულებული და გამჭვირვალე სისტემის უზრუნველსაყოფად, 2012 წლის 17 თებერვალს პარლამენტს წარედგინა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება - კანონპროექტების პაკეტი. 2012 წლის 2 მარტს კანონპროექტის პაკეტს გაეცნენ უცხოელი დიპლომატები, საერთაშორისო ორგანიზაციების, ხელისუფლების, საპარლამენტო და არა-საპარლამენტო პარტიების, აგრეთვე არასამთავრობო და მედია-ორგანიზაციების წარმომადგენლები.


ცოტა ხნის წინ საქართველოს პარლამენტი ჩართო სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციებში და საკანონმდებლო ინიციატივის ცალკეული დებულებებისა და კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხის განხილვის პირობა დადო. კონსულტაციების მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით, ევროკავშირის მოუწოდებით, საქართველოს მთავრობასთან ოფიციალური კომუნიკაციის პროცესში განსაკუთრებით ყურადღება დაუთმოს ახალ კანონმდებლობას, მათ შორის 2011 წლის დეკემბერში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით შემუშავებულ შესაბამისი რეკომენდაციებს.

სხვა სიახლეები

- ქიმიკიძეების ოჯახს სოციალური დახმარება შეუწყდა
- სასამართლომ ლადო ვარძელაშვილს და კიდეც ორ ბრალდებულს გირაო შეუფარდა
- სასამართლომ უგულავას არც გირაო შეუფარდა და არც თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუჩერა
- შინაგან საქმეთა სამინისტრო „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს
- ერევანში ქართველი, ოსი, აფხაზი და სომეხი ახალგაზრდების შეხვედრა გაიმართა


[არქივი](#)

ბლოგი

- ქართული პოლიტიკური რეკლამის ისტორიული...
-  2005 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სატელევიზიო პოლიტიკურ რეკლამებს ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე მხოლოდ ხანმოკლე (ასე - ორკვირიანი), ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.
[\[...\]](#)
- წინასაარჩევნო სარეკლამო დაპირებები...
- პოლიტიკური რეკლამების ხარისხი და...

[არქივი](#)

რედაქტორის აზრი

- ადამიანის უფლებათა ცენტრი მაღალჩინოსნების...
-  ადამიანის უფლებათა ცენტრი იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც, ცენტრის იურისტები და ჟურნალისტები ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესებს მონიტორინგს გაუწევენ.
[\[...\]](#)
- საერთაშორისო ზეწოლის შედეგად სახელმწიფო...
- ავგისტოს ომი - ვინ...

[არქივი](#)

გამოკითხვა

თქვენი აზრით, პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული პოლიტიკატიმრები იმსახურებდნენ თუ არა განთავისუფლებას?

ამასთან, ქართულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა საქართველოს მთავრობასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისს (OSCE/ODIHR) მიმართეს თხოვნით, მხარი დაუჭირონ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის წარგზავნას საქართველოში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში ქვეყნარტად დემოკრატიული წინასწარჩვენო გარემოს შექმნას. 2012 წლის 28 თებერვალს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას პარლამენტის წინაშე, კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მზადყოფნა 2012 წელს გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესახებ და მონიტორინგის პროცესში მაქსიმალურად ჩართვის მიზნით ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები მოიწვია. აქედან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, მხარი დაუჭიროთ სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა ინიციატივას და საქართველოს მთავრობას მოუწოდოთ, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისს (OSCE/ODIHR) შესაბამისი მოსაწვევით მიმართოს.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად თქვენს მიერ გაწეული ძალისხმევებისთვის და იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული საკითხი ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის დღის წესრიგში პრიორიტეტულ თემად დარჩება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა (მხარს უჭერს ეროვნული პლატფორმის წევრი 51 ორგანიზაცია):

1. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
3. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
4. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
5. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
6. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
7. ლიბერალური აკადემია - თბილისი
8. ეკონომიკური და სოციალური კვლევების კავკასიური ინსტიტუტი
9. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
10. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
11. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
12. მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი
13. ჯანმრთელი სამყარო
14. ასოციაცია „ეკოტექი“
15. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
16. ენერგოეფექტურობის ფონდი
17. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
18. მედია განვითარების ფონდი
19. ლევან მიქელაძის ფონდი
20. ეკოლოგიური სამართლის ცენტრი
21. ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
22. ადამიანის უფლებათა ცენტრი
23. სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
24. ახალგაზრდული ალტერნატივა
25. ფრიდრიხ ებერტის ფონდი
26. კოალიცია დევნილთა უფლებებისათვის
27. თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია
28. საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები
29. კავკასიური სახლი - საქართველო
30. მრავალეროვანი საქართველო
31. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
32. ასოციაცია „დეა“
33. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
34. სტუდია „რე“
35. ფონდი „ინკლუზივი“
36. ევროპულ სწავლებათა ასოციაცია საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის
37. სტუდია FM
38. ახალგაზრდული ცენტრი- საქართველო
39. გორის საინფორმაციო ცენტრი
40. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“
41. ევროპული ინტეგრაციის ფორუმი
42. რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
43. ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“
44. ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი
45. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო
46. ასოციაცია „მწვანე ტალღა“
47. ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
48. საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია
49. ქართველ სომეხთა გაერთიანება „ნორ სერუნდი“
50. ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
51. კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით

- უნდა გაეთავისუფლებინათ
- არ უნდა გაეთავისუფლებინათ
- მხოლოდ ნაწილი უნდა გაეთავისუფლებინათ
- მიჭირს პასუხის გაცემა

წინ

შედეგები

არქივი

თემები

ბავშვები	ჯანდაცვა
ქალები	კორუფცია
მართლმსაჯულება	არჩევნები
ლტოლილები / დევნილები	განათლება
უმცირესობები	პატიმრები
მედია	რელიგია
ჯარი	სხვა

კატეგორიები

ჟურნალისტური მოკვლევა	ინტერვიუ
სტატია	უცხოური მედია
რეპორტაჟი	საქართველოს შესახებ
ანალიზი	რედაქტორის აზრი
ფოტო რეპორტაჟი	პოზიცია
ექსკლუზივი	მკითხველის აზრი
	ბლოგი

